



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-ქ.გორის
ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო
კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით N1/94. §1.09.11.2022წ.

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების მეთოდოლოგია

ახალი პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით-„პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება,“ შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება საწყისი და ამოსავალი წერტილია მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

მიზანშეწონილობის დასაბუთებამ უნდა მოიცვას შემდეგი ასპექტები:

პირველ რიგში, პროგრამა წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს კოლეჯის მისიასთან. სახელოვნებო მიმართულების პროგრამებზე მაღალია თვითდასაქმების მაჩვენებელი, მაგრამ უნდა არსებობდეს კოლეჯის სამოქმედო არეალში შესაბამისი დამსაქმებელი და მათი მხრიდან დადასტურებული იყოს კვალიფიციური კადრის საჭიროებაც. კოლეჯმა უნდა იზრუნოს შრომის ბაზრის კვლევასა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე.

მუხლი 1. კონცეპტუალური მიზანშეწონილობა

კოლეჯი ახდენს ანალიზს, ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში პროგრამის განხორციელება კოლეჯის მისიასთან, მის პროფილთან და სტრატეგიულ მიზნებთან;

მუხლი 2. რესურსული მიზანშეწონილობა

საჭიროა, დეტალურად შეფასდეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები, რათა განისაზღვროს, თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება დამატებითი ინვესტირება საჭირო. მათ შორის, გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის მოზიდვა, პერსონალის არსებობა, მათი გადამზადების საჭიროება და სხვა.

მუხლი 3. ეკონომიკური მიზანშეწონილობა

კოლეჯმა პროგრამის დასაბუთების ამ ნაწილში უნდა აღწეროს, თუ რა იქნება დაფინანსების შესაძლო წყაროები. საბიუჯეტო, კერძო თუ სხვა. განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები და შემოსავლები, დაასაბუთოს პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტი). გარდა ფინანსური მდგრადობისა, გაიაზროს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით, უფრო ფართო კონტექსტში.

კოლეჯმა დასაბუთებაში უნდა ასახოს, თუ სად დასაქმდებიან კურსდამთავრებულები სავარაუდოდ. რამდენი ადამიანი დაასრულებს პროგრამას მისი ფუნქციონირების პერიოდში და არის თუ არა მათი დასაქმების პოტენციალი კოლეჯის ფუნქციონირების არეალში; კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განხორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს; ასევე, კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს კოლეჯის კურსდამთავრებულებს ექნებათ თუ არა თვითდასაქმების პერსპექტივა პროგრამის დასრულების შემდეგ.

მუხლი 4. სამართლებრივი მიზანშეწონილობა

ამ ნაწილში კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს, რომ პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს რაიმე დამატებით რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, როგორცაა მარეგულირებლის თანხმობა გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას ან პროგრამის განხორციელების პროცესში საჭირო აღჭურვილობის, მასალა-ნედლეულის შექმნა, შენახვა და გამოყენება ხომ არ უკავშირდება რაიმე სახის სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებას.

მუხლი 5. ოპერაციული მიზანშეწონილობა

კოლეჯმა უნდა დაასაბუთოს, რომ მისი ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასა და დატვირთვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

მიზანშეწონილობის დასაბუთებლად ყველა ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე უნდა გაკეთდეს რისკებისა და სარგებლის საერთო შეჯამება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილობის დასაბუთებას ცალკეული ასპექტების მიხედვით ახორციელებენ სპეციალურად შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრები. ამ დასაბუთების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროგრამის შესახებ ამზადებს დასკვნას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შემუშავებული პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. საბოლოო გადაწყვეტილება კი მიიღება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. ასევე, საჭიროა თანხმობის მოპოვება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, რომელმაც უნდა განხორციელოს ინვესტირება ამ ახალ პროექტში.